ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
"ბელიაშვილის №12"
(ყოფილი ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ლიუბლიანა")
კრების ოქმი

ქ. თბილისი 11.11.2013წ.

კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლბის მოთხოვნის შესაბამისად, მისი მოწვევის პროცედურების დაცვით.

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

დღის წესრიგი:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ბელიაშვილის №12"-ს (ყოფ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ლიუბლიანა") მიერ შპს "ბილდინგ კომპანისაგან" მასალის შესაძენად და სამუშაოს შესასრულებლად თანხის მიღების საკითხი;
2. ამხანაგობა "ბელიაშვილის №12"-ს მიერ ამხანაგობის მომიჯნავე ნაკვეთზე მიმდინარე შპს "ბილდინგ კომპანის" მშენებარე პროექტის კორექტირებისთვის მშენებლობის ნებართვის გაგრძელების, ლეგალიზაციის და ექსპლოატაციაში მიღების საკითხების განხილვა.

დაადგინეს:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ბელიაშვილის №12" (ყოფ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ლიუბლიანა") თანხახმაა, მიიღოს შპს "ბილდინგ კომპანისაგან" 10300 ლარი შემდეგი მასალის შესაძენად და სამუშაოს შესასრულებლად:

    1. ჩხაურების ჩაწყობა 72 მეტრი - 4600 ლარი
    2. ბლოკი 20-იანი 900 ცალი - 900 ლარი
    3. ქვიშა წითელი - 250 ლარი
    4. ცემენტი 45 პაჩკა - 450 ლარი
    5. შებენი 5 კუბი - 150 ლარი
    6. ტრაქტორი 2 დღე - 800 ლარი
    7. კრანი (ფილების ამოღება ჩაწყობა- 500 ლარი
    8. ეზოს ჭების დაწევა - 300 ლარი
    9. ბლოკის დაწყობა - 450 ლარი
    10. ბეტონის ჩასხმა - 450 ლარი
    11. სამასვალი (ნაგვის გასატანად) - 200 ლარი
    12. ამოშენებულის გალესვა 50 კვ.მ. - 250 ლარი
    13. მომსახურება - 1000 ლარი
2. შპს "ბილდინგ კომპანის" ამხანაგობა "ბელიაშვილის №12" უცხადებს წინასწარ უპირობო თანხმობას (ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობით), ამხანაგობის მომიჯნავე ნაკვეთზე მიმდინარე შპს "ბილდინგ კომპანის" მშენებარე პროექტის კორექტირებისათვის მშენებლობის ნებართვის გაგრძელების, ლეგალიზაციის და ექსპლოატაციაში მიღებაზე. ასევე თანახმაა მხარეთა მიერ მომზადებული ერთობლივი პროექტით ამხანაგობა "ბელიაშვილის №12"-ს თანხმობის გარეშე სარგებლობაზე.

მითითებული თანხის ჩარიცხვა მოხდება ამხანაგობა "ბელიაშვილის №12"-ს მიერ სს "საქართველოს ბანკში" წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე GE42BG0000000318384900

ამით კრებამ მუშაობა დაამთავრა.

კრების თავმჯდომარე
ალექსანდრე ცუხიშვილი (პ/ნ 38001019943) ალექსანდრე ცუხიშვილი

კრების მდივანი
გიორგი ფალავანდიშვილი (პ/ნ 38001001386) გიორგი ფალავანდიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131183193
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.11.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შორენა ხაინდრავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24467897708413

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ცამეტი წლის თერთმეტ ნოემბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართეს **ალექსანდრე ცუხიშვილმა** და **გიორგი ფალავანდიშვილმა,** რომლებმაც წარმოადგინეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ბელიაშვილის №12"-ს 11.11.2013 წლის კრების ოქმი და მოითხოვეს მასზე მათი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ალექსანდრე ცუხიშვილმა** (დაბ. 13.11.1980წ, რეგისტრირებული მისამართზე: საჩხერე, ს. ჩიხა, მართვის მოწმობის №AH3889171, პირადი №38001019943) და **გიორგი ფალავანდიშვილმა** (დაბ. 18.02.1972წ, რეგისტრირებული მისამართზე: საჩხერე ს. საირხე, პირადი №38001001386) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ მომმართეს **ალექსანდრე ცუხიშვილმა** და **გიორგი ფალავანდიშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე კრების ოქმს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე კრების ოქმის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 6 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 12 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39. პ1-ის თანახმად). სულ გადახდილია 14 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

